საჯარო სამართლის იურიდიული პირი ლ. საყვარელიძის სახელობის

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი

National center for Disease Control & Public Health

NCDC 9 22 00132467 21/07/2022

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
დევნილთა,შრომის,ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრის პირველ მოადგილეს
ქალბატონ თამარ გაბუნიას

ქალბატონო თამარ,

სსიპ - ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა, "გარემოსდაცვითი შეფასების სფეროში ადამიანის ჯანმრთელობაზე ზემოქმედების შეფასების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2019 წლის 2 სექტემბრის N420 დადგენილების მე - 4 მუხლის შესაბამისად განიხილა, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროდან№ 06-1422182527 წერილით გადმოგზავნილი ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ქალაქგანვითარებისა და ურბანული პოლიტიკის სამსახურის მიერ წარმოდგენილ რუსთაველის ქ. N20-ში არსებული მიწის ნაკვეთის განაშენიანების სკრინინგის განცხადება სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ჩატარების საჭიროების შესახებ.

წარმოდგენილ სკრინინგის ანგარიშში მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, გეგმარებითი ერთეული სულ მოიცავს 3 მიწის ნაკვეთს და მათი საერთო ფართობი შეადგენს 2730,00 კვ.მ-ს. გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მუხლი 3, პუნქტი დ)-ის თანახმად, გარემოზე ზემოქმედების შეფასება (შემდგომ - გზშ) შესაბამის კვლევებზე დაყრდნობით გულისხმობს გარემოზე შესაძლო ზემოქმედების გამოვლენასა და შესწავლის პროცედურას იმ დაგეგმილი საქმიანობებისთვის, რომელმაც, შესაძლოა, მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს გარემოზე და რომელიც მიეკუთვნება აღნიშნული კოდექსის II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას. კერძოდ, გზშ-ს ექვემდებარება 10 ჰექტარზე მეტი განაშენიანების ფართობის მქონე ურბანული განვითარების პროექტი (დანართი II, პუნქტი 9.2).

აღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, განაშენიანების დეტალური გეგმით გათვალისწინებული გეგმარებითი ერთეულის ჯამური ფართობი არ აჭარბებს 10 ჰა-ს, დაგეგმილი საქმიანობა არ ექვემდებარება სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას.

პატივისცემით,

საქართველო, ქ. თბილისი, 0198, კახეთის გზატკეცილი N99; ტელ: (+995 32) 2192595; ცხელი ხაზი: 116001
Kakheti Highway N99, 0198, Tbilisi, Georgia; Tel: (995-32) 2192595; Hot line: 116001; E-mail: ncdc@ncdc.ge

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

გენერალური დირექტორი
ამირან გამყრელიძე